ოქმი N 5

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2019 წლის 13 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. გია წულაია
5. ლაშა ცატავა

მოწვევით ესწრებოდნენ: ზ. ბუკია, რ. ჩემია, რ. შულაია, ლ. ღვინჯილია, ხ. თუთბერიძე, ზ. კუპრეიშვილი, ბ. ხურცია, გ. სალაყაია.
ასევე ესწრებოდა: ლ. შამათავა - საკრებულოს აპარატის უფროსი.

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 12 აპრილის №03/1169 წერილის განხილვა:

- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 12 აპრილის №03/1169 წერილის განხილვა:

- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
- ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

- მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიაში შემოსულია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ და სამსახურის უფროსს სთხოვა წარმოედგინა აღნიშნული ანგარიში.

ზ. ბუკიამ - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია: საქმისწარმოების განყოფილება, საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება. მან წარმოადგინა თითოეული განყოფილების მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ დასვა შეკითხვა, თუ რა სახის დოკუმენტაცია მზადდება არქივისთვის, რაზედაც საქმისწარმოების განყოფილების უფროსმა რ. ჩემიამ განმარტა, რომ არქივისთვის გადასაცემად მზადდება არაელექტრონულად შემოსული კორესპოდენცია და 10 წლის ხანდაზმულობის მქონე მასალები. ასევე დაისვა საკითხი, როგორ ხდება A3 ფორმატის შემოსულ კორესპოდენციაზე მუშაობა, რაზედაც განიმარტა, რომ დეს-ში ტარდება და იტვირთება დასკანირებული წერილი, ხოლო თანდართული A3 ფორმატის დოკუმენტაცია, რომლის დასკანირების საშუალება არ არსებობს, გადაეცემა პირადად მოხელეს, ვისაც დაეწერება აღნიშნული წერილი. შესაბამისი მითითება კეთდება დეს-ში.

საქმისწარმოების განყოფილების უფროსმა რ. შულაიამ აღნიშნა, რომ სხვა საკითხებთნ ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამსახურების სარგებლობაში არსებული ინვენტარისა და მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებაზე კონტროლს. ასევე აღინიშნა, რომ 2018 წელს ჩატარდა საჯარო კონკურსები მერიის მოხელის 14 ვაკანტურ თანამდებობაზე და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 1 ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა დასანიშნად.

საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ განყოფილება აქტიურადაა ჩართული მოქალაქეებთან შეხვედრების ორგანიზებასა და დასმული პრობლემატური საკითხების აღრიცხვაში. განყოფილება ჩართულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის პროცესში. ასევე აღინიშნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე აქტივობების გაშუქება საინფორმაციო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ მიუთითა, რომ განსაკუთრებულ კონტროლზე იქნას აყვანილი ინფრასტრუქტურული პროექტების შემსყიდველებთან ურთიერთობები, კერძოდ, გაავრცელოს საჯარიმო სანქციები ვადის გადაცილებისა და გეგმა-გრაფიკის დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე, ასევე მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნას დარიცხული ჯარიმების ამოღება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შეკითხვები არ დასმულა.

კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ განმარტა, რომ კომისიის მიერ უნდა მოხდეს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება. საქმიანობა შესაძლოა შეფასდეს როგორც არადამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი ან დადებითი. კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 0

დადებითი - 5

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

- კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსს სთხოვა წარმოედგინა ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

სამსახურის უფროსმა ზ. კუპრეიშვილმა წარმოადგინა ანგარიში სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა მ. ფილიპიამ დასვა შეკითხვა, როგორი იყო გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა და რის მიხედვით დგინდება ეს რაოდენობა, რაზედაც ზ. კუპრეიშვილმა განაცხადა, რომ გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა დგინდება იქიდან გამომდინარე, თუ რამდენი წვევამდელი იმყოფება სამხედრო აღრიცხვაზე, შეღავათების გათვალისწინებით. 2018 წელს გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 60 წვევამდელით. კომისიის თავმჯდომარემ დ. ბერაიამ დასვა შეკითხვა, თუ როგორ ხდება გაწვევის გადავადება სკოლის მოსწავლეებისთვის, რაზედაც სამსახურის უფროსმა ზ. კუპრეიშვილმა განმარტა, რომ მათ შეღავათი ეძლევათ სკოლის დამთავრებამდე, ხოლო აბიტურიენტად რეგისტრაციის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებამდე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შეფასების შესახებ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

არადამაკმაყოფილებელი - 0

დამაკმაყოფილებელი - 0

დადებითი - 5

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია